საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
განათლების ხარისხის განვითარების
ეროვნული ცენტრის დირექტორის
ბრძანება

MES 5 21 0000215081

11/03/2021

„პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) კვალიფიკაციების განვითარების სამსახურის უფროსის 2021 წლის 04 მარტის №187770 სამსახურებრივი ბარათის გათვალისწინებით, ცენტრის დირექტორის 2016 წლის 04 აგვისტოს №733 ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული სტანდარტის, საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის და მოდულის შემუშავების, ცვლილებების შეტანისა და გაუქმების წესის“, ცენტრის დირექტორის 2019 წლის 06 აგვისტოს №680/ი ბრძანებით დამტკიცებული „პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესის“ მე-7 მუხლის მე-4 პუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 14 სექტემბრის №89/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. შეტანილ იქნეს ცვლილება „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ჩარჩო დოკუმენტების დამტკიცების შესახებ“ ცენტრის დირექტორის 2017 წლის 13 ოქტომბრის №656 ბრძანებაში და ბრძანებით დამტკიცებული:
ა) „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N1-ის შესაბამისად;
ბ) „საფინანსო სერვისების“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N2-ის შესაბამისად;
გ) „ბუღალტრული აღრიცხვის“ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი ჩამოყალიბდეს ამ ბრძანების დანართი N3-ის შესაბამისად.
2. ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტები: „საოფისე საქმისა და ღონისძიების ორგანიზება“, „საფინანსო სერვისები“ და „ბუღალტრული აღრიცხვა“ ძალაში შევიდეს ბრძანების ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნების დღეს.

3. დაევალოს ცენტრის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საორგანიზაციო სამმართველოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურთან კოორდინაციით ამ ბრძანებისა და მისი დანართის ცენტრის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნება.
4. დაევალოს ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამსახურს ამ ბრძანების დანართით გათვალისწინებულ თარიღის შესაბამის ველში ამ ბრძანების გამოცემის/ძალაში შესვლის თარიღის მითითება და ამ სახით ბრძანების სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის მიწოდების უზრუნველყოფა.
5. დაევალოს ცენტრის ადამიანური რესურსების მართვის და საქმისწარმოების სამსახურს ბრძანების დაინტერესებული პირებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობის უზრუნველყოფა.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოში (მის:. ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის №64) კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით.

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული
ცენტრი
დირექტორი
მახარაშვილი თამარ